№ 77
კვირა, 9 აპრილი, 1900 წ.

1877—1900

ივერია

ბაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10—	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ბა
და გაბ
უნდა მიემართო
გამოვრც. სახლ.

ფასი გაბ
ჩვეულებრივი სტრიქონი
16 კაპ. შეთანხმებით

„ივერიის“ ტელეფონ. № 22

ეპრიზდეაღლსდგა!

ამ ნომერში ეძებნი:

დღესასწაულებისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა შუაშაბათს, 13 აპრილს.

ტფილისი, 8 აპრილი

დღეს მთელი მართლ-მორწმუნე ქვეყანა შეჰხარის კაცთა მხსნელის აღდგომას მკვდრეთით, ყოველს ეკლესიაში გაისმის ღაღადისი სიკვდილთა სიკვდილის დამთრგუნველ სა და სიცოცხლის მომნიჭებელის მიმართ.

„ქრისტე აღსდგა!“ ახარებს გაღრიჭებულის სახით დიდი და პატარა ერთმანეთს. დიახ, აღსდგა ქრისტე, დავრდომილთა და ტანჯულთა შემბრალებელი და შემწყნარებელი, მაშვრალთა და ტვირთ-მძიმეთა განმასვენებელი; აღსდგა იგი, რომელმაც სული გაამეტა ხორცზედ, რომელმაც კაცთა გულში შთანერგა მცნება სიყვარულისა და სიბრალულისა. გაისმა მისი ძლიერი მოძღვრება: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისიო“ და ამა სამსხვერპლო სიტყვებმა გაალხო, აძაგერა ადამის ძეთა მოყვასთა მიმართ გაქვავკლდეებული, გაყინული, გაყუჩებული გული, გული აღძრული შურის ძიებად, „კბილისა კბილის წილ და თვალისა თვალის წილ“ მისაგებებლად.

შეუდარ-შეუფარდეთ წარსული აწმყოს და გული თქვენი სიამით და შვებით აღივსების, რადგან დროთა სვლასთან ქრისტეს სიყვარულის ნათელით შემობარი სწავლა-მოძღვრება თანდათან ფესვს იკიდებს, თანდათან არღვევს ქვეყნად მოფენილს ჯაჭვიერურს წყვდიადს, აღამიანის ძვალ-ხორცში გამჯდარს სიძულვილს, ამკვიდრებს ძმათა და მოყვასთა შეყვარებასა და ხსნის დიდს მცნებას.

აღსდგა ცხოვრების განმანათლებელი და ამ ნათელის სხივთა ქვეშე გაისმა ხმა „ხალხთ ბოროკილის ხმა მტერგვისა“, დაიმსხვრა მონობის უღელი, განელდა და გაფერფლდა კერპთა თაყვანის-ცემის ძლიერი კოცონი, უძლურმა თვისი დამაბეჩვებელი, თვისი მჩაგვრელი მართლმსჯულებას წარეყენა ავკაცების განსარყვნად, და დაითრგუნა ბოროტება...

მაგრამ სრულიად არ დათრგუნულა იგი, კიდევ ჰკიდებს კაცთა შორის საშინელის ძმათა სისხლის ღაღვრელ შეიარაღების სახით. მთელნი ერნი აბჯარ-აღჭურვილნი არიან და ერთმანეთს სისხლით წარღვნით ემუქრიან. ომი, ეს ჩვენის დროის საშინელი და თავს ხარ-დამცემი რისხვა, რისხვა არა-ბუნებრივი, არა-ღვთიური, არაგეკაცთა მიერ მოგონილი ერთმანეთის საღუტად და სახოცად, დღესაც თავისის შეუბრალებელის ბოროტებით თვალ-წინ გვიდგას და, ღვთისა და ბუნების კანონს გარეშე, ძმას ძმის სისხლს კეღნისებურის გულ-შავობითა და გულ-ღვარძლიანობით სიამოვნებით ანთხევინებს, სიცოცხლეს არომევინებს, სიცოცხლეს, რომელი არა კაცთაგან მოიცემის და არცა კაცთაგან ღნება წაირთმეოდეს.

ქრისტეს კაცთ-მოყვარე მოძღვრებამ ამ წყვდიადშიაც უკვე ოდნავ შეაშუქა, ამა მოძღვრებამ ადამიანთა შებრალებისამა და შეწყნარებისამ უკვე აღძრა ძლიერნი ამა ქვეყნისანი ომისათვის ომის გამოსაცხადებლად, უკვე გაისმის ხმა მშვიდობისა, და ესასოებედეთ, რომ ამ მხრივაც წყვდიადი განიფანტება და ნათელ-მოსილი მოძღვრება ქრისტესი, რომელი ბაგითა ღვთიურით გვასწავებდა, რომ „ვერავის ხელეწიფების სულისა მოკვლად“ და ჰკრულვოდა მათ, „რომელთა მოსწყვიდნენ ხორცნი“, დაამსხვრევს კაცთა სიკვდილად შეჭმნილ იარაღს, უძლურ ჰყოფს გულის-თქმას ადამიანისას, თვისთა მოძღვრთა სისხლის საღრჯლად და სიცოცხლის მოსასპობად აღძრულს, და სიკვდილითა ჩვენის მაცხოვრისათა ეს კაცთა მიერ მოგონილი სიკვდილიც დათრგუნების!..

ფარნაზი

—

გარგა ხანია, რაც რუსეთს ახალმა სიომ დაჰბერა და ლამის არის სრულიად უცვალოს ფერი ამ მამა-პაპიდგან მოვნელ-მთესველს ქვეყანას. ვაჭრობა, მრეწველობა და გადამუშავება ადგილობრივ შეძენილის ნამუშევარისა თვისებისაგე ძალ-დატანით ისეთის სისწრაფით მიდის წინა, რომ თვით უცხო ქვეყნელნიც განცვიფრებას მისცემიან. გაზეთებს რომ დავუჯეროთ, შარიყის მსოფლიო გამოფენაზედ რუსეთიდგან მიტანილ სავაჭრო და სამრეწველო საქონელს ყველას უყურადღება დაუმსხურებია. უცხო-ქვეყნელნი აქამდე რუსეთს ისე უყურებდნენ, როგორც მიწად-მომქმედ ქვეყანას, სადაც ბელომად მოდის ხორბალი, მაგრამ თუ აქ მრეწველობა და ტექნიკა მისი ასე წინ წაიწევდა, არავის ეგონა.

ოც წელიწადზე მეტია, რაც მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მრეწველობას და მისის წინ-მსვლელობისა და აღორძინებისათვის არც შრომასა ჭზოგავდა და არც ფულს. ამ ნაირი მიმართულება მთავრობის პოლიტიკისა ნათლად გამოისახება ვიშნეგრადსკის ფინანსთა მინისტრობის დროს და დღეს ხომ ასეთი პოლიტიკა უველასათვის ცხადია. ბევრს ეხსომება ბ-ნის მენდელეევის აზრი, რომ მიწად-მოქმედებას, როგორც საზარალოს, დროა თავი დავანებოთ და ხელი მივყოთ მხოლოდ მრეწველობას, როგორც უფრო ხელ-საყრელსა და შემოსავლიან ხელობასაო. დღევანდელნი რუსეთის მემამულენი ხომ მდუდარებას აბნევენ და ცხარე ცრემლითა სტირიან, რომ მთავრობამ ჩვენზედ ხელი აიღო, მზრუნველობა მოგვგაკლო და მრეწველებს გვანაცვალაო.

რაკი მთავრობა მრეწველობის მფარველობის პოლიტიკას დაადგა, იძულებული გახდა ხელი შეუწყოს ისეთ დაწესებულებათ, რომელთაც საგნად ეს აზრი აქვს. ამ ნაირ დაწესებულებად უნდა ჩაითვალოს, სხვათა შორის, უმაღლესი, საშუალო და დაბალის ხარის ხის სატეხნიკო, საშროფესიო და სამრეწველო სასწავლებელნი. სულ მცირეს დროს ამ ტიპისა, ანუ სახის სასწავლებელნი საკვირველის სასწრაფოთ მრავლდება. თუ წინად მანეთს იშურებდნენ, დღეს მილიონებსაც არა ჭზოგავენ ამ საქმისათვის. ჯერ მარტო შარშან დააარსეს ორი უმაღლესი სასწავლებელი—პოლიტეხნიკუმები ვარშავსა და კიევში, გაიფართოვეს უკვე არსებულნი ხარკოვსა და პეტერბურგსა, აპირობენ დაარსონ კიდევ ეკატერინოსლავსა და ეკატერინბურგში (ურალთან). ტომსკის უმაღლესი სატეხნიკო სასწავლებელი ამ შემოდგომაზე დაიწყებს მოქმედებას, ასე რომ ციმბირი, ეს კაცის-მკვლელთა და ავაზაკთა დასამკვიდრებელი, უნივერსიტეტის გარდა, პოლიტეხნიკუმსაც ეღირსა და სხვებთან ერთად ისიც თავს იწონებს ამ განათლების მომფენ ბურჯით.

ჩვენი ქვეყანა ცერძოდ და ამერ-კავკასია საზოგადოდ სრულიად მოსწყდა ამ საერთო მოძრაობას. მრეწველობა აქაც თვალ-საჩინო ადგილს იჭერს, მაგრამ მისი ხელ-შემწყობი დაწესებულებანიკა არსად არის. უმაღლესს ვიწყა იტყვის, საშუალო და დაბალის ხარისხის სასწავლებელიც არ მოგვეძებნება. ერთის სიტყვით, ის ახალი სიო, რომელმაც დაჰბერა რუსეთს, კავკასიის უღელტეხილთან შეჩერდა და ჩვენამდე ვერდარ მოადწია.

ვაჭრობას მრეწველობასთან დიდი კავშირი აქვს. ვაჭრობის გასაძლიერებლადაც მთავრობა ბევრსა ჭზრუნავს და, სხვათა შორის, სასწავლებლებსაც აარსებს ან თითონ, ან კერძო კაცებს აქეზებს და ახალისებს შემწეობის მიცემითა და დაბმარების ადმოჩენით. ამ მხრივ დღეს ჩვენმა ქვეყანამ დიდი ბიჯი წასდგა წინ. წრეულს შემოდგომაზედ ტფილისში ორი სასწავლებელი დაიწყებს მოქმედებას. ერთის სახელი „ტფილისის საკომერციო სასწავლებელია“ და მეორისა—ტფილისის სავაჭრო სკოლა. პირველი საშუალოა, ხოლო მეორე დაბალი. ორსავე სკოლას აზრადა აქვს ხელი შეუწყოს ვაჭრობას იმითი, რომ განათლებული და სავაჭრო ცოდნით აღჭურვილი მუშაკი მოამზადოს. ამ სკოლებიდგან გამოსულნი, ეჭვი არ არის, ვაჭრობას შორვანდელ ხასიათს შეუცვლიან და ახალს გზაზედ დააყენებენ.

სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველებს არც ერთი სასწავლებელი იმ სიკეთეს არ მოგვიტანს, რის მოტანასაც მაგათ შეუძლიანთ. ეკონომიური ვითარება ჩვენის ქვეყნისა ისეთია, რომ ვერ ვისარგებლებთ ახალის სახის სასწავლებლებით და ძველებურად გავირიყებით, თუ ეწლავე. დასაწყისში, რაიმე დონე არ ვიდრნეთ და ხერხი არ ვიხმარეთ დაბრკოლების თავიდგან ასაცილებლად. საქმე ისაა, რომ ორსავ სასწავლებელში სწავლის ფასი ისე დიდია, რომ თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, ძვირად თუ რომელიმე ქართველი გაჭებედავს ბავშვის იქ მიბარებას. საკომერციო სასწავლებლის დაბალ მოსამზადებელ განყოფილებაში, მაგალითებრ, წლიურად 80 მანეთი სწავლის ფული უნდა იქმნას გარდახდილი, უფროსს მოსამზადებელ განყოფილებაში—100 მან., შირველ კლასში—120 მ. და შემდეგ მეშვიდე კლასში სწავლის ფასი მიადწევს 200 მან. ამ ტვირთს რომელი ქართველი ოჯახი აიტანს? გლეხ-კაცობა დედა-მიწასთან გასწორდა და სულს ძლივსდა იბრუნებს, წვრილ-ფეხი აზნაურშვილობა უარესს გაჭირვებაშია და ქონებიერი თავადნი შვილებს იქ არ მისცემენ, კადეტისა და სპაჰკ კორპუსებს, ცხადია, არ უდალატებენ. მაშ რომელი ქართველი მისცემს შვილს ამ ჩვენთვის საჭირო, მაგრამ ფასის სიდიდით მიუწვდომელს სასწავლებელშიო? არ გვეგულება ქართველთა შორის ისეთი წოდება, რომ ამ სასწავლებელთა სიკეთით სარგებლობა შეეძლოს.

დაუფარავად ვიტყვით, რომ უბარი წამალი ჩვენ ხელთა არა გვაქვს. საჭიროება დროსა და გარემოების შესაფერის საკომერციო და სავაჭრო სწავლისა უველასათვის ცხადია, ამას სჯა და ბაასი ადარ ეჭირვება, მისის შეძენის დონე-კი არა გვაქვს. მაშ ის-და დაგვრჩენია, რომ ამ წერილით მივაქციოთ ქართველ საზოგადოების ყურადღება და ვთხოვოთ ქვეყნის გულ-შემატკივართ ან გაზეთისავე შემწეობით, ან სხვა გზით გამოსთქვან თავიანთი აზრი,—თუ როგორ ავიცილოთ თავიდგან შემაფერხებელი გარემოებანი და საიდგან ვიშოვოთ საკომერციო სწავლის შესაძენი საჭირო ფული. ნუ დავივიწყებთ, რომ ამისთანა საქმეში დაგვიანება და დახანება დიდად გვაგვებს და შემდეგ უფრო გაგვიძნელდება წახდენილის საქმის გამოკეთება.

ა. ფრონელი

იესო რაბბი.

—

ქ. იერუსალიმს დღეს რაღაც არაჩვეულებრივი მოძრაობა ეტყობოდა. მის ვიწრო ქუჩებში ხალხი ვერ ეტეოდა; ხოლო თვით იერუსალიმის ტაძარი და მისი გალავანი ისე იყო მლოცველებით გაჭედილი, რომ ნემსი არ ჩაგვარდებოდა. დიდსა და პატარას, გლახაკსა და მდიდარს ყველას სიხარული უქროდათ სახეზედ, თითქოს არაკეთილ ბოროტი და ჭირ-ვარამი არ გამოეცადა, თითქოს დღევანდელი დღე არა ჰგავდა გუშინდელს.—თითქოს ეს დღე წელიწადში კი არ ერთხელ იყო იგი მოვლენილი ზეციდგან და ისიც მხოლოდ ებრაელებისათვის როგორც ერთად-ერთი ღვთისმიერ არჩეულ ერისათვის. დიდებულ იერუსალიმის ტაძარში ებრაელთა მღვდელ-მთავარს აარჩნს „წმიდათა წმიდას“ წინაშე და ლიტანიას ყველა ხალხი ერთ ხმით ეუბნებოდა. ეკლესიის გარეც ბლომად ჰხოცავდნენ „ჩლიქ გაყოფილს“ ოთხ-ფეხს და სამსხვერპლოზედ მიჰქონდათ იგი დასაწვავად.

მწიგნობარნი და ფარისეველნი ტაძარში ყველაზედ წინ წამდგარიყვნენ. იმათის ტანსაცმელის ელვარებას კაცი თვალს ვერ გაუსწორებდა. იდგნენ ისინი მედიდურად, თითქოს უნდოდათ ეთქვათ: „უფალო, ხომ გვხედავ, რა სისპეტაკე გვმოსია და ხომ ჰხედავ დანარჩენთაც, რის ღირსნი არიან ისინიო!“ ზოგიერთი მათგანი მედიდურად აღაპყრობდა ხოლმე ხელებს ტაძრის ოქროთი მოჯეკილს თაღისკენ და რაღასაც ბუტბუტებდა. მათ უკან იდგნენ დანარჩენნი უბრალო მოკალაქე ებრაელნი. ამ რამდენსამე ას მლოცავ შორის მხოლოდ ერთი განირჩეოდა თავისის ჩაფიქრებულისა და დალონებულის სახით. იგი გულს ხელ-დაკრებილი იდგა შემოსავალ კარებთან. ზოგიერთი მლოცველთაგანი, რა წამს შეავლებდა ტაძარში, მიბრუნდებოდა მისკენ და თავ-მდაბლად აძლევდა სალამს. ზოგნი-კი დაცინვის ღიმილით უცქეროდნენ გულს ხელ-დაკრებილს და რაღასას ჩურჩულებდნენ.

ტაძრის გარეთ, კარებთან, უცებ ხალხი შეა გაიყო და პატარა ხანს უკან კარებში გამოჩნდა დაბალის ტანის კაცი; მას უკან მოსდევდა ორი მხლებელი და ხალხს განზედ სწევდა, რომ პატარა ტანის კაცს უფრო თავისუფლად გაევლო. როგორც ეტყობოდა, თვით მლოცველთაც კარგად იცოდნენ, ვისთვის უნდა დაეთმოთ გზა. ეს იყო მთელს სირიასა და პალესტინაში განთქმული ებრაელი სიმო. იგი დინჯად შემოვიდა ტაძარში, წამოსძახა გადასცა თავისს ორს მონას, გაისწორა ტანისამოსი და ის იყო შეუგულ ტაძრისაკენ უნდა წასულიყო, რომ კარებთან დაინახა გულს ხელ-დაკრებილი კაცი. განგებ მიბრუნდა იმისაკენ და ისეთის ზიზღით ათვალ-ჩაათვალ-

ლო თვალი,თითქოს რაღაც შემზარავი საშინელება დაენახოს. გულ ხელდაკრებილმა მას წყნარად გადმოჰხედა, მისი ლმობიერი სახე ოდნავაც არ შეცვლილა სიბოს ამ გვარის საქციელით. მას მხოლოდ ამოიოხრა და წყნარის ნაბიჯით გავიდა გარედ. მას უკან გაჰყვა თორმეტი სხვა კაცი. იმით გამოსვლისთანავე ტაძრის მოედანში რაღაც ჩოჩქოლი შეიქმნა. „იესო რაბი მოსულა!“ „იესო რაბი მოსულა“. ისმოდა აქეთ-იქიდგან.

დიახ, ეს იყო „იესო რაბი“, როგორც თვით ებრაელნი ეძახდნენ, იესო რაბი, მკურნალი სნეულთა და მბრძნელი დავრდომილთა. ერთის წუთის შემდეგ მის გარშემო შეიკრიბა რამდენიმე ასი მლოცავი. ერთი მეწვრილმანე ებრაელი ჩუმად მიუხლოვდა იესოს და შეეხო მის კალთას. ეს ის მეწვრილმანე აკოსტა იყო, რომელიც დღე და ღამეს სულ იმის ზრუნვაში ატარებდა, რომ როგორმე გამდიდრებულიყო და ეგონა, იესოს კალთის მიკარების შემდეგ ჩემი დახლი თვისებად თვად აივსებაო. ეს არ გამოეგზავნა მის მეზობელ ხანანს და სიშურით ის უფრო ზედ აეკრა რაბის, მაგრამ უმრავლესობაკი მოუთმენლად მოელოდა კვლავ გაეგონათ იესოსაგან გულის სათნო და ტანჯულ სულის აღმფრთოვანებელი სიტყვა.

მისი ღვთიური სახე, ოქროს ფერი თმა, მხრებზედ გადმოშლილი, მაღალი მოხდენილი ტანი, გაბედულობით აღსავსე და მასთან ლმობიერი თვალები ისე იზიდავდა და იმორჩილებდა მაყურებლის გრძნობა გონებას, რომ თვისდა უნებურად ვერ მოეშორებინათ თვალი ამ კაცისათვის. რაბები ჰგრძნობდა ამას, გრძნობდა ხალხის გულის ცემას და მხოლოდ იმას ელოდა, რომ გარს დაწყნარებულიყო აღელვებულ გრძნობათა ზღვა. ხალხმა თითქოს წაიკითხა რაბების თვალებში მისი სურვილი და ნელ-ნელა იესოს გარს ფარგალი კეთდებოდა, ნელ-ნელა წყნარდებოდა მოედანი, და აგერ ამ აფორიაქებულ მოედანზე მალე ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ადამიანი ბუზის გაფრენასაც-კი გაიგონებდა. მთელი ეს მოედანი რაღაც კაცის ქანდაკებათა ჯგუფს დაემსგავსა. რაბიმ კიდევ რამდენჯერმე მოაყარა მოედანს თვალი და შემდეგ მისმა ნაზმა, სასიამოვნო და მუსიკასავით სასმა ხმამ შეატოკა მსმენელთა გული. მან ალნიშნა ცრემლები დავრდომილთა, ტანჯვა დაჩაგრულთა, ოხვრა გლახაკთა, გოდება უბედურთა, სიმწარე დამშვრალთა, ალნიშნა ერთის მხრივ ჯოჯოხეთი კაცთა შორის დედამიწაზედ და მეორეს მხრივ იმედი, სიყვარული, აღფრთოვანება, სამართლიანობა და ყველთაგან შეკრული, სამოთხისაკენ მიმავალი კიბე. „ამინ გეტყვით თქვენ, არა დაჰშთეს აქა ქვა ქვასა ზედა, რომელი არა დაირღვას“! და „ვაჲ თქვენდა, რომელნი იცინით აწ, რამეთუ იგლოვდეთ და სტიროდეთ“! ამით გათავდა რაბების სიტყვა.

აქამდის ძლივს-ძლივობით შემგრებული ცრემლები გადმოსქდა მსმენელთ თვალთაგან, აქამდის სმენად გადაქცეულმა გულმა ველარ მოითმინა და რაბების ირგვლივ გაისმა მწარე ქვითინი. ის-კი იდგა იმავე ალაგას ფერ-მიხდილი და სიყვარულით გაცისკროვნებელს თვალებს ავლებდა თვისს გარემო მოედანს. ამ დროს იერუსალიმის ტაძარშიაც ლოცვა გათავდა და ხალხი, როგორც შეკავებული ტალღა, ახლა გარედ გამოიშალა. მძიმე-მძიმედ გამოვიდნენ ტაძრიდგან იერუსალიმის სინაგოგის წევრნი და ფარისეველნი. და რა დაინახეს იესო ხალხს შუაში მდგომი, ერთმანეთში ჩურჩული შეჰქმნეს. ებრაელი სიბო რაღაცას მათ უმტკიცებდა ხელების ქნევით. გაშმაგებულის თვალებით, როგორც მგელი კრავს, უყურებდნენ იესოს, მაგრამ ამ დროს მას ხალხის გული ხელთ ეჭირა. ცბიერმა ფარისეველებმა იცოდნენ ეს, ამიტომ გეეცალნენ ამ ალაგას და გამართნენ სინაგოგისაკენ, სადაც უნდა გადაეწყვიტათ, როგორ მოეშორებინათ თავიდგან ეს მოუსვენარი კაცი, რომელმაც ლამის არის დასცეს ძირს ებრაელთა სარწმუნოება, სჯული და თვით ისინი, ვისთვისაც საპირო იყო ერის ბრმა თაყვანისცემა.

მთელს ღამეს სინაგოგაში არ შეწყვეტილა ლაპარაკი. ერინი არჩევდნენ ხალხის ჩუმად მოელოდნ ბოლო ეპოსაათვის, მეორენი ამტკიცებდნენ: საჭიროა თვით ერის წინ მოვუსპოთ სიცოცხლეო. „ამით მთელს ურიასტანს ვიყიდიო“! დაიძახა სიბომ და მოხსნა თავისს მოსაც ვერცხლით სავსე პარკი. მართლაც, იმის დანახვაზე თვით სინაგოგის წევრებს ჩაუწყდათ ხმა და იგრძნეს, რომ ყველაზედ მომეტებულ შემწეობას ისევ ვერცხლი გაუწევდათ. იმ ღამესვე მრავალი ოქრო იქნა გაფანტული იერუსალიმის სხვა და-სხვა კუთხეში, როგორც მოწყალება ივეროვანი, რომელიც ვითომდა ებრაელთაგან სამაგიეროდ მორჩილებას თხოულობდა. უპირველესი ჯილდო შეხვდა იუდა ისკარიოტელს, რომელსაც უნდა ეჭვენებინა მათთვის, სად იქნებოდა იესო იმ ღამეს, როდესაც დაეპრას უპირებდნენ.

გათენდა მეორე დღე. იერუსალიმის ტაძარს თანდათან უფრო ემატებოდა მლოცველი, ურიასტანის სხვადა-სხვა მხრიდგან ჩამოსული პასექის დღესასწაულზედ დასასწრებლად. აქამდე ამაყნი და მიუკარებელნი ფარისეველნი ეხლა გაფაციცებით დაძვრებოდნენ ხალხში და იწვევდნენ ხვალინდელ დღისათვის პორტოელ პილატესთან, სადაც ერთის საშინელის ავაზაკისათვის სასჯელი უნდა გადაეწყვიტათ. იესო რაბები ამ დღეს განუშორებლივ თვისს მოწაფეებთან იყო და ასწავებდა. ხოლო საღამო ხანს იგი ჩვეულებრივ გაემართა მოწაფეებთან ერთად ზეთისხილის მთისაკენ, რომლის კალთებზედაც გადაჭიმული იყო გეთსიმანიის ბაღი. მან ერთ ყვავილნარ კორძის ძირს დასტოვა თვისი მოწაფენი და თითონ ბაღის ზევითა ნხრეს წავიდა. აქ ერთის ტინიდგან გამოჩუხჩუხებდა პაწია წყარო და მისი ხმა ვერცხლის წკრიალასავით ისმოდა მიჩუმებულს არე-მარეში.

მთვარის შუქი ძლივს ატანდა და ბურულ ხის ზეკეს და აქა-იქ ნათელით ჰფერავდა ჩრდილოთა ძორის ნამიან მწვანეს. ხოლო თვით ზეთისხილის მთის წვერი ისე გადმოხრილიყო თვისის უზარმაზარის ხეებით, თითქოს უნდოდა ჩაეხედნა შიგ და ეგრო: რა ხდებოდა ამ მიწყნარებულ მშვენიერ ბაღში. სადღაც ბეჩ ჩეში ბულბული უსტვენდა. მისი ხმა ხან ნაზი, იყო როგორც უშანკო სიყვარული, ხან ათრთოლებული და ხან კი მიწყნარებული, მიმშვიდებული, სევდიანს, თითქოს თან მოჰქონდა უბედურთა ცრემლები და ნამად აპკურებდა ცელკ ნიავის სა რშიყო მწვანე ფოთლებს.

აი, ამ ადგილას შესდგა იესო რაბები, მიიხედ მოიხედა და შემდეგ წყნარად დაიწყო მოცქერიალე წყაროს პირს. ღრმა ფიქრებში იყო გართული.—გაფითრებული ტუჩები ერთმანეთს დაჰკროდა და მისი მტრედის ფერი თვალები შორს, შორს სადღაც გაიცქირებოდა. აგერ, სწორედ მის ზურგთან ჩაიკასკასა მოუსვენარმა ბულბულმა. რაბები შეკრთა, მერე ცვლავ ჩაფიქრდა და ერთის წუთის შემდეგ მისი დიდრონი თვალები ცრემლებით აივსო, იგი პირ-ქვე დაეშხო. „მამაო ჩემო, უკუთუ შესაძლებელ არს, თანაწყარიხედინ ჩემგან სასუმელი ესე!“ იმორებდა ის. კარგა ხანს იყო რაბები ასე პირქვე დამხობილი და სთხოვდა ღმერთს ასცდენოდა მას განსაცდელი. ბევრის მდელვარების შემდეგ მან თავი მაღლა აიღო, მიეყრდნო ტინს და თვალები დახუჭა. მთვარემ უკვე შეიმაღლაურა და გეთსიმანიის ბაღი ახლა უფრო თვალწარმტაცს და გულის მომხიბლავს სურათს წარმოადგენდა. მის ძირს იერუსალიმი იყო გაჰიმული თვისის შესანიშნავის უზარმაზარის ტაძრით. სანთლის შუქი მხოლოდ აქა-იქ ღა მოსჩანდა. მისწყდა ფეხის ხმაც.

მხოლოდ გამალებულის ნაბიჯით გეთსიმანიის ბაღისაკენ მიეშურებოდა ათი-თორმეტი შეიარაღებული კაცი.

იესო დიდს ხანს იყო ისევ ისე მიყრდნობილი ტინზედ, როდესაც იმის პირდაპირ ბუჩქებიდგან გამოჩნდა ვიღაცის აჩრდილი. ის ხან ამოჰყოფდა თავს ზეთის ხილის ჩამაღლებიდა. აჩრდილი შემდეგ ფეხაკრეფით წამოვიდა იესოსაკენ და გაჩერდა მის წინ. ეს იყო მშვენიერი, ლერწამივით მოსული ახალგაზდა ქალი, მან სასოებით აღაზნებული თვალები დააშტერა რაბების და შემდეგ მოწიწებით ეამბორა მისს განიერ შუბლს. იესო შეკრთა, წამოიწია და რა დაინახა თვისს წინ თავისი საყვარელი მოწაფე, გაიღიმა. ეს იყო სიბიტოს ერთად ერთი ასული, იესოს საიდუმლო მოსავი და მოწაფე. რებბეკა, ასე ეძახდნენ ამ ქალს, იდგა თვისის მოძღვრის წინაშე და ვერა ჰბედავდა ხმის ამოღებას, მაგრამ რაბემ გადაუსო მას ხშირს თმაზედ ხელი და მით ანიშნა ეთქვა, რის გამოცხადებაცა სწადდა მოძღვრისათვის. რებბეკას ცრემლები ულშნი ებჯინებოდა, ბაგენი უთრთოდა და ხმა უწყდებოდა, მაგრამ მაინც უამბო იესოს, რაც-კი თვისს მამის სახლში გაეგონა ამ ორის დღის განმავლობაში. როგორც იყო დაათავა ქალმა სიტყვა, მოეხვია მუხლებზედ იესოს და რამდენიმე ჩქარის ნაბიჯით მიეფარა ისევ ბუჩქებს.

იესო ხმა ამოუღებლად, წყნარად წავიდა იქ, სადაც მას მოწაფეები ელოდებოდნენ. ხოლო ერთი მთგანი არ იყო მათშორის. „აღზდეგით, ვნუ გძინავთ, უთხრა მან მოწაფეებს მოახლოვებულ არს ჟამი იგი!...“ მოწაფეებმა ვერ მოასწრეს ეკითხნათ იესოსთვის, რას ჰნიშნავდა ეს სიტყვები, რომ რამდენიმე შეიარაღებული კაცი წამოადგათ თავზე...

..... გათენდა წითელი პარასკევი... კვლავ გაიღვიძა ქალაქმა, კვლავ ამოძრავდა იერუსალიმის ქუჩები. ხვალ დიდი დღესასწაული იყო ებრაელებისა და ლოცვითა და მარხულობით იწმინდებოდნენ, რომ პირნათლად შეეგებებოდნენ პასექს. გოლგოთას მთის ძირას აუარებელი ხალხი მოსჩანდა, ყველანი მთისაკენ მიეშურებოდნენ, ხოლო ხან და-ხან შესდგებოდნენ ხოლმე და ამ დროს იმათი სიცილ-ხარხარი ახმაურებდა მიდამოს. ესენი დასცინოდნენ ერთს წელში მოხრილს პაპუკს, რომელსაც იდი ხის ჯვარი ეკიდა ზურგზედ, და რადგანაც ვერა ჰხიდავდა, ხშირად დაეცემოდა ხოლმე პირქვე ტვირთს ქვეშ ყოველი მისი მწარე გმინვა ხალხში სასიამოვნო სიცილ-ხარხარს იწვევდა. ეს იყო იესო, რომელსაც წამების ჯვარი მიჰქონდა გოლგოთას მთაზედ.

ი. ხოსიტაშვილი

„ვაჲ თქვენდა“

თუმცა გ-ნს სარდალს ინგლისის ჯარისას უკვე გუშინვე მოახსენეს, რომ ბურების ის რაზმი, რომელსაც ეხლა უბირებდა თავ-დასხმას, მცირეაო, მაგრამ სიფთხილისათვის მიუახლოვდა თუარა ცხვირ-წამოწეულის კლდეს, ადგილ-მდებარეობის დასათვალიერებლად აქეთ-იქით მაინც მზვერავები გაჰგზავნა.

— ვიდრე კარგად არ გავეცდებით აგერ იმ წამოწეულის კლდის ცხვირს, თითის გაშვერით მოახსენა სარდალს უკე დაბრუნებულმა უფროსმა მზვერავმა: ბურები ვერ დაგვინახავენ. ისინი არხეინად დაბანაკებულან პატარა გორაკის ძირას და სრულიად არ ეტყობათ, რომ მიგველოდნენ. კარვების წინ გაჩაღებულ კოცონებთან მარტო დედაკაცები ფუსფუსებენ, როგორც ეტყობათ, ხვალინდელ დღესასწაულისთვის მზადებაში არიან. კაცებს ალბად კარვებში სძინავთ, ან იქნება ხვალის დღესასწაულისთვის ირთვებიან...

— ძალიან კარგად დავინახე, ბ-ნო სარდალო, აგერ იმ კლდის წვერიდგან,—გააწყვეტინა ლაპარაკი უფროსს შავ-კანიანმა მზვერავმა: კარვებში გაშოტილი ვეებერთელა ბურები.

— ძალიან კარგი,—ჰბრძანა სარდალმა,—მცირე მოფიქრების შემდეგ. აბა დაამზადეთ ზარბაზნები და აგერ იმ კლდისაკენ გასწით, ცოტად გასცდებით თუ არა, გაჩერდით; არამც და არამც ბურებს არ დაენახვოთ. თქვენ-კი, მეუბრუნდა სარდალი ცხენოსან ჯარის უფროსს,—აქ იყავით, ქვითა ჯარი-კი, თან გამომყევით! ბურების ჯარი გამოიშლება თუ არა ჩვენსკენ, მიუბრუნდა ხელ-ახლა ცხენოსანთა უფროსს, თქვენ უკანდაგან მოუარეთ, აგერ იმ ხეობით, და იმედი მაქვს, რომ თითქმის უბრძოლველად ჩავიგდებთ ბურებს ხელში. აბა გასწით, ფრთხილად-კი.

მშვენივრად იყო მოფიქრებული ბრძოლის გეგმა და ინგლისელები უეჭველად გაიმარჯვებდნენ, რომ ბურებს თავიანთის ჯაშუშების შეწყობით წინალამესვე არ შეეტყოთ მათი განზრახვა და თადარიგს არ შესდგომოდნენ. ბურებმა ამოდ დრო აღარ დაჰკარგეს და იმავე ღამეს დაფაცურდნენ: ხელად ათორიეს თავიანთი პატარა ზარბაზნები იმ გასავლის აქეთ-იქით გორაკებზედ, სადაც ინგლისელებს უეჭველად უნდა გაევლოთ და თვითაც ამ გორაკებს შეეფინნენ. ჯერ არც-კი გარიჟრაჟულიყო, რომ ბურები, სულ გაბაბუნები, თოფებით ხელში ქვებს ამოჰფარებოდნენ. პატარა ზარბაზნები სრულიად არ განირჩეოდა იმ ქვებისგან, რომლის ძირშიაც ამოეყენებინათ.

—

რამდენმამე ათასმა თოფმა სწორედ მაშინ მოიღო გრიალი, როდესაც ცხვირ წამოწეულ კლდის ახლო ამოყად თავი ამოჰყო თვით სარდალმა 10,000 კაცისამ. თოფებს მოჰყვა ხუთის ზარბაზნის გრიალი; აირია თოფისა და ზარბაზნის ხმა ერთმანეთში და ამათთან ერთად აირია ინგლისელთა ჯარიც. დფიშობნენ ინგლისელების ზარბაზნებში შემზადებული ცხენებიც. მხედარნი სცდილობდნენ შეეყენებინათ, მაგრამ ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა; საშინელ ბდგომარეობაში იყო ინგლისის ჯარი: მარცხნივ—ღრმა ღელე, მარჯვნივ—მტრის ტყვიის სეტყვა. თუ ჯოჯოხეთს მართლა ისეთია, როგორაც ჰხატავენ, ეს ადგილი იმ დროს სწორედ ჯოჯოხეთს წარმოადგენდა.

—

სამი ზარბაზანი, ოთხმოცამდის დაჭრილი და სამასი ტყვე დარჩათ ბურებს, როდესაც ინგლისელებმა უკან დაიწიეს და აჩქარებულის ნაბიჯით გასწიეს თავიანთ ბანაკისაკენ. გამარჯვებულ ბურების ხმა ბანაკში მყოფ დედაკაცებმა შორიდგანვე იცნეს და გაბარებულნი გარედ გამოცვივდნენ მამაც მეომართა მისაგებებლად.

— მამაშენი რაღა იქმნა აქამდის, —შეეკითხა ლუიზა კარებში თავისს უფროსს ვაჟს,—ტყვეები და დაჭრილები, მგონია, უკვე დაბანავეს, საცა პატრი ზარსაც დარეკავს ცისკრისათვის; საკვირველი კაცია, ტანისამოსი მაინც არ უნდა გამოიცვალოს!..

— რა დაგემართა დედილო, რას ჩქარობ! მოვა, ხომ იცი, უფროსებს ყოველ სალამოს თათბირი აქვთ ხოლმე, ალბად იქ დაავგიანეს.— მშვიდობის კილოთი უთხრა დედას შვილმა.

— დედილო, ჩქარა იქნება „ქრისტე აღსდგა“!—ეს მესამედ ეკითხებოდა პატარა იოჰანი დედას და თან ძილ მორეულ თვალებს იფშვნეტდა.

— ჩქარა, ჩქარა,—ეუბნებოდა დედა და წამ-და-უწუმ კარავს გარეთ გარბოდა.

— გაიღვიძე, გენაცვალე, შვილო, უთხრა ლუიზამ პატარა იოჰანს, როდესაც მან, საღამოსწოლით ტანისამოსში გამოწყობილმა, წაჰკიდრა თავი და დედამიწაზედ გაგორდა. გაიღვიძე შვილო, ან საცაა მამაც მოვა. გაიღვიძე, იოჰან, აგერ მამა შენიც!

—

მაგრამ მამილო ჯერ არსად იყო. იმ დროს, როდესაც იოჰანი ასე მოუთმენლად მოელოდა დედამამას, მისი მამა გუსტავი უძრავად ეგდო ერთ ქვის ძირში. თუმცა ხელსახოცით უკვე შეეხვია მძიმე ჭრილობა,

მაგრამ სისხლს მაინც გამოეტონა და თეთრი ხელსახოცი წითლად შეეღება. გუსტავი უგრძნობლად მიჰყრდნობოდა დიდს ლოდს და მხოლოდ სუსტი სუნთქვა-ღა ჰხოწმობდა, რომ წუთი-სოფელს ჯერ კიდევ არ გამოსალებოდა.

ჩამოლამებასთან ერთად ცივმა სიმაც დაუბერა და ამან ცოტად გამოარკვია დაჭრილი გუსტავი; მილეული თვალები ოდნავ გაახილა და ღრუჯ, ვარსკვლავებით მოპენდილს ცას მიაპყრო. დაავიწყდა გუსტავს თავისი ჭრილობა, დაავიწყდა განცლილი წვალება და ოცნების მიეცა: მოაგონდა თავისი აყვავებული, კოხტად მოწყობილი ფერმა ბლუნფონტენში, მოაგონდა თვისი ოჯახი, შვილი, შვრომელი ცოლი და ცელქი ბავშვი, თავისი მეზობლები, ბაღებით შემოსილი ქალაქი, მოაგონდა სისხლის მსმელი ინგლისელები, მოაგონდა ის ღღეც კი, როდესაც იძულებული შეიქმნა ქალაქი მტრისათვის დაეტოვებინა, და აშფოთებულმა ხელების ფათური დაიწყო თოფის საპოვნელად. მაგრამ მოკაკვადი გუსტავი ისევ მალე დაშვიდდა: „მე შავ-დ მიბნელდება ღღე, გაიფიქრა მან, მაგრამ არც თქვენ გაგახარეთ, ჩვენო მტარვალებო!“ ამ დროს ზარის ხმა მოესმა. ხმა შორიდან მოდიოდა. „ხვალ ხომ აღდგომაა“, გაიფიქრა გუსტავმა და ამ ფიქრთან ერთად თვალ-წინ წარმოუდგა პატარა იოჰანნა, რომელიც ყოველთვის ამ ღღესასწაულს ჩაცვიდებოდა ხოლმე: „მამილო, ქრისტე აღსდგა, ქრისტე აღსდგა“. ეხლაც მოესმა იმისი ხმა. „ეშმარიტად, ეშმარიტად აღსდგა“, ძალდატანებით განამეორა, თვალები მილულა და თავისი სული სამშობლოსთვის შეწირულს მოძმეთა სულს შეუერთა.

ვ. მ—შვილი

დ ე დ ა

(საღდგომო ამბავი)

— ფეფე!.. აი, ფეფე!.. ფეფე არა ხარ!?. შესძახა ქვრივ ფეფოს ქოხში შუა ხნის კაცმა და ცოტა ხნის შემდეგ, პასუხი რომ აღარ მოესმა, შეაღო წნელით მიბმული კარები: ჩემი ცხონ აქაც არ არის?! ქოხში შესვლისთანავე დაიწყო მოსულმა: მთელი სოფელი-კი შემომრბენინა და!.. პასუხი არ მოისმა ქოხში. ქოხის სიჩუმეს არღვევდა მხოლოდ ყრუ და გულ-ამომჯდარი ქვითინი, რომელიც ისმოდა ქოხის ერთ კუთხიდგან, სადაც ტახტი იყო მიდგმული და ზედ აყუდებული - აფუნგული ლოგინი ტყარა.—დიდება შენდა, ღმერთო!— ცხვირი კიდევ ლოგინში გაჭყს წაყოფილი?!. ნუგეშის-ცემით გაბგერძო მოსულმა: აგერ ერთი კვირაა, რაც შვილი დამარხე და ამდენ ხანს გაუთავებელ კრუსუნით გული რით ვერ იჯერე!? ღვთის სამართალთან ვა გაგვეწყობა! აბა ტყუილი არაა: ეხლა საბრალო თედოს შენი ცრემლი გულს ვეღარ მოულბობს, ვერ გააცოცხლებს და მაგდენ ვაი-ვაგლახით შენ თავს-ღა ჩამოადნობ... კვირაძალია, ხვალ ქრისტეს აღდგება— ჭინაცვალე იმის მაღლხე!— არა ჯობია, ჩემო დაო, გახვიე საყდარში, დაეცე მუხლებზედ ჩვენთვის ჯვარ ცხულ მხსნელის წინ და შენი შვილის სულიც შეავედრო და შენთვიც ნაც ნუგეში გამოისთხოვო!.. თუ იცი, ვინ ვის ჩაჰყოლია საფლავში და ან აბა შავ წუთი-სოფელს ვინ შებერებია? ყოველ აჰაურს საქაო სამუდამო სადგური არ მოგველის? ან არა და, მე შენ გითხრა, ამ უკუმაურ დროში, როცა აქედგან, ჩემსავ გვერდივე, ერთი ხროვა წვრილ-შვილი გვერდებ გიხრიან და იქიდგან მტერი თუ მოყვარე,—ყველა შენ გაგლეჯას ლამის,—დიდი ბედნიერა ქვეყანაზედ წანწალი... შენ, ჩემო დაო, ის გირჩენია ჯკვას მოხვიდე... ეხლა ვინღა დაგარჩენია. ნურც ნუღარავის გეიქვლენები, გეყო: ერთი შენსავით მარტოხელი პატრონი იშოვე და თან რა იმტონი ხანში შესული შენა ხარ... ღმერთმა, იქმნება, სანუგეშოთ უკეთესი შვილიც-კი მოგცეს.. პაპანათესი შუშანაც არც შენსაები...

— მომშორდი, მომშორდი თავიდგან, შე ურჯულო, ურჯულოს გვარისავ! — შესძახა გაბრაზებით ტახტიდგან წამოვარდნილმა ფეფომ, როცა ყური მოჰკრა სტუპრის სიტყვებს: აბა რას მიხსენებ, რას! რად მიგინებ, შე უხეროვ, ან ჯერეთ ისევ გაუცავებელ შვილის სამარეს, ან იმის სულს, რომელიც ჯერაც აქაა ჩემთან და არც ოდეს გაშორდება თავის კერას!.. თუ არ დაგიშლია, დღესვე გამოვრბივარ შენ ქვრივ ძმასთან! ო...ოო...ი!.. დასაქცევო ქვეყანავ და წყეულო მაცდურო, არ გამტანო ადამიანო,—რა გასაჩენი იყავით!.. დამმთავრა გაცეცხლებულმა ფეფომ დაღმეჭილის სახით და მთოლვარე ხელებ-გასავსავებული ისევ შვილის გახრებულ-გაცივებულ ლოგინში დაეცა.

—

შუაღამე გადასულიყო... ღამის მნათობებით სადღესასწაულოდ მორთულ ცას ოდნავ ფერი გადაჰკრა. სოფ. ზ—ს ძველი, ხავს-შემოსილი საყდარი, უმისოდაც არა-ჩვეულებრივ სანთლებით გაჯაშკაშებული, უფრო გაბრწყინვებულა აჭიოქ მის გალავანში დანთებულ ჭიაკოკონებისაგან, რომელთა გარშემო მხოლოდ ბავშვები-ღა დახტიან და დროგამოშვებით ერთმანეთ კვერცხებს უპახუნებენ. თვით საყდარი გამოუცდელია მლოცველის ხალხის. კრებული ეკლესიისა ხალხის ვერაგობითვე ჯვარცმულ ღვთაების მკვდრეთით აღდგენას ახარებს თავმოყრილ მლოცველთ, რომელთაც, გეგონებათ, სამუდამოდ დაივიწყებიათ ყოველ-დღიური ვარამი, რომ ყველას სახეზედ რაღაც სიმხიარულე და იმედი უჭრის... საყდრის ცოტა მოშორებით კი, სასაფლაოზედ, საბრალო ფეფო, დამხობია შვილის, ჯერ ისევ შეუმშრალს ნოტიო სამარეს. მეტის ვაებით ღონე მიხდილს, სამარის თავს ჩარჩობილ ლოდისთვის ფეფოს ხელები შემოუხვევია, ხმაც დაჰკარგვია და ნელის ხმით-ღა ჩასტირის...—ვის სამარეს დააკდე შენი გულმკვდარი დედა, ვის?!.. ეგ იყო შენი დაპირება, ეგეც? რომ თურმე მოტყუებით მეხვედი, ჩემო შაუნავ, და მაიმედებდი: აღდგომის შემდეგ ჩვე ქეთოსაც მოვიყვანთ და მაშინ შენც ცოტათი შეისვენებ ჩემო ტანჯულო დედაო!... მაშ მართლა მატყუებდი, მაშ არ გებრალებოდი?... ჩემი სიყმაწვილე მაგისთვინ კი არ შემოგალიე!!..

გადიხარა და ცრემლებით ამოვსებული თვალები ლოდს შეაშტერა. სახეც კი იმდენად დასიებოდა, რომ ჩა ისხლიანებული თვალები აღარც კი უჩანდა.

— წამო, შვილოვან, დედაჯან, სახლში წავიდეთ, წამო! დაიწყო ისევ ხვეწნით ფეფომ: თითქოს შენი ქოხი გიყვარდა, იქ აღარავინ არის, ხომ გაგიორხდა? შენი ქეთოც ტირილით თავს იკლავსო, იმას რაღათ ატირებ, ის მაინც არ გებრალება?! წამო, სიცოცხლევ, იმედო, ნუგეშო, სასოებავ!.. განა აქ არა გცივა? აბა ეს ჟამი შავი მიწა როგორ გაგათბობს ისრე, როგორც გათბობდა ჩემი ვაებით დაღარული გული ამ ოციოდ წლის განმავლობაში!.. აღარ გგსმის დედიშენის სიტყვები განა? არა?!. აღე წამო, ბიჭო...ო! — ლოდის წვეთი შებღავლა ფეფომ და რაყვის დროს, ანბარიშ-მიუცემლად, ლოდსავე დაუწყო შუბლით ჯახუნი, გეგონებოდათ, ლოდ-კი არა, კუპოში მდებარე შვილს გულზედ ეხეთქებაო. შუბლის სიმწვავე რომ იგრძნო, ფეფო უცებ გაუჯდა, თითქოს დავიწყებას მიეცა, მაგრამ დაჩერჩენილ შუბლიდგან ჩამოღვენთილმა სისხლმა რომ თბილად დაუარა დალრეცრეულ ცივ ღაწვებზედ, ოდნავ შეერთოლდა და უცბად შესძახა, თითქოს ახლა მოაგონდაო:

— ქრისტე აღდგა, შვილო, ქრისტე! შენ კი აღარ ადგები? ერთი ფშათაც არ დგენახვები ჩემ ჩასაქოლ თვალებს? ო...ო...ი!.. ჭამოიხრიალა ახლა-კი შესაზარად ფეფომ და თავის ქნევის დროს საფეთქელი ორჯელ ზედი ზედ მიახალა ცრემლითა და სისხლით დანამულს ლოდს...

იჩაქუნა, მაგრამ მოკაზმული ბუნება ჯერ ისევ გარინდული იყო. მხოლოდ ენაკანია ეთერი ჩვეულებრივ დასისინებდა იქვე ახლო, რუს პირას, ალვის ხეების ფოთოლ შუა და რაღასაც დუდუნებდა, თითქო სამწუხარო ამბავს აუწყებს ალვის ხეებსაო, რომლებიც გარინდებულ-გაკვირვებულნი შესცქეროდნენ ცას და ოდნავ სიბრალულით თავს ღა იკნევდნენ...

„ქრისტე აღსდგა მკვდრეთით!“... დაიწყეს მღვდელ-დიაკვნმა გალობა სასაფლაოზედ ერთ სამარესთან, რომელზედაც ტაბლა იდო და ზედ ერთი პაპანებური ნაზუქი და წითელ-ყვითელი კვერცხები ელაგა იქვე იდგა ითიოდე ქალი და კაცი და შორა-ახლოს თავი მოეყარათ ბავშვებს, რომლებიც მოუთმენლად ელოდნენ ღვდლის-მიერ საფლავის კურთხევის გათავებას, რომ ტაბლიდგან კვერცხები დაეტაცათ:

— საკვირველია ამ დედაკაცის საქმე,—სთქვა მღვდელმა, როცა საფლავების კურთხევის დროს შენიშნა ლოდზედ ხელებ შემოხვეული და სამარეზედ დამხობილი ფეფო: შეხეთ საბრალოს, მეტის მოქანცულობით ზედვე კი დასძინებია! გამოაღვიძეთ ეგ უბედური, თორემ გაცივდება და მგონი ნაბერავ აუხდეს—შვილს თან გაჰყვეს!—გლეხები მი უახლოვდნენ ფეფოს წამოსაყენებლად, მაგრამ გაკვირვებულ-გაშეშებული გვამი-ღა დაუხვდათ. ყველა აქ დამწყრემ გაოცებით, მაგრამ მოწყენით პირჯვარი გადიწერა და ცოტა ხნის შემდეგ ფეფო საკაცეთით სოფელში წაასვენეს.

გ. ახალციხელი

„მეც დედა ვარ!“

(საღდგომო ეტიუდი)

ცივი, ხანგრძლივი ზამთარი იყო. მთელი დღე ნოტიო, ბნელ და ჭირ დახშულ სახლიში გატარებული. სუსხი წყმა გაყინულის ოთახით სხვსე წყვეთას თუალებში გაეშხაპნებდა და სიცივის გამო მთელი სხეულით კანკალებდით. ბრწყინვალე ნათელი ჩემთვის ჯოჯოხეთის წყვდიადს წარმოადგენდა. გარეკან სამწარეს და სიდუხჭირეს კუნჭის სიღატაკე, ცოლისთან შერისხვებ ზედ დამატე. სული გბილით მეკვა. მაგრამ განგებამ დროს თავისი სხივ-მოსილი ამედები წინ აღმამართა და ბრწყინვალის სახით ჩამომშხსა: „გაზაფხული, გაზაფხული“. ოხ, სიტყვები! ნეტავი ჭვრმნიდენ, ეს ტკბილი რა სამძიმეარით მოსვდა ჩემს დახშულს და გაუნელ გრძნობათ; ან რა მხიარულის სიდღესასწაულო ჭანგებით ამიმეგრეს იგი?! გაზაფხულთან შეკავშირებული იყო ჩემი ზარეთით და სულიერი განახლება, ზამთრის მონობის ქვეშ წყდ მოწყვეტილ ცხოვრების გადაქნა-გადასხვაფერება... გაზაფხულთან ერთად მოეკლდი სულის სამშვიდე, გულის სიტკბოებას და შინაკა ნეტარებს, რომელსაც დღე ჭვრიმას და მით ამყოფს. გაზაფხულთან ერთად მოეკლდი იმ დაუფასებელ თავისუფლებას, მწყანე მინდორ კორდებში ტუჩის ტეხვნას, რომელსაც მარტო ახსენი გაზაფხული გვარუნებს ხოლმე ჩვენ—ტხოვრებს.

მწკნე კორდებზედ მოფენილი ცხრილი ფარა, ახალგაზდა დედების ხვეწნა-ლერსი, ნორწ ბატკნების ცელქური ნავარდი, კორდიდგან კორდზედ მალხაზედ გადასტონ-გადმოსტონ სრულიდ გულ-ქვა და ჭრძნობა დახშულ ადამიანსაც გაახეთებდეს და სატოგს დის სატკბობას აგრძნობინებდა. მაგრამ კაი, რომ ყოველ ბედნიერებას უბედურება გუდაში მასდევს და სატკბობას სიმწარე სამარემდის მიჰყვება!!.

გაზაფხდიდი დედაბი თავთანი შეიდებს უფრო გულ-გრილად ადევნებდენ თვალ ყურს.. მე კი სრულიდ გაბეღერებული ვიყავი, რადგან კრთის მეტი შვილი არ გამბადნა და ისიც პირველი შვილი იყო. შვილის თითოეული ნაბიჯი ჩემთვის გამოთვლილი იყო. ყველაფერს კრიდენი, ყველაფერს მეშინოდა, რადგან კრეკვს სალამაზით ჩემი შვილი ყველასგან გამოსარჩევი იყო. ჩემ ამხანაკებში თორი ბატკანი მარტო მე დამებადა. თუმც არც სხვებნი ეყენენ ცუდნი, მაგრამ ადამიანის გუმანდაფიქრებულ და გულიანის გულს, რადგან ცხოვრებ ჯერ-ჯერობით ასეთ ბრალდებულია თავის ღა ოდნავ ნაბრალი ჩემი კრანი უფრო მოყვნის. ეც ამით მეტი შიშის ზადერვა ამეშალა, რადგან ადამიანის გუმანიც ხშირად ტყუილს გვეუბნება; მისი ჯ-სუფთაობა, მეკულ მუტლობის და კეთური სიამეს პატარაობიდგანვე მჭონდა გაგონილი. მაზეზიც ეს იყო, რომ ყველაზედ უფრო მოსიყვარულე მტრად ადამიანს გუფრებდი. მას გამო შიშით კრწოდი და კრაკვაკვებდი. რაც ჩემი შვილი ბიჭრდებოდა, იმდენად ჩემი გული ნაღვლით სავსე კუჭანში ეხეკნას და სკვდ კედვე უფრო მომრავალკედებოდა. ზოგიერთ დედას შვილის წამოზრდა, მისი დაკვეკება მხიარულ მოვალედ უქმდის. მე მე სიბრალულ კი შვილი, რაც დრო და ჟამი მიდიოდა, ტკბილს თუალით სტკერი მისდებოდა. რაც უფრო ზრდასი შედიოდა და ბეკლი და რბილი უმაგრდებოდა, ჩემს დაზიანებულს გულს იმდენად სკვდა და ბოლის უფრო სხსკულტდა, ჭკოდდა და დაუზოკეკულად ანადეკრებდა. ან რა შემეძლო მეტი მე ბედ კრულს?! რა ძალა მქონდა უკოს-ეიანთან, სუსტს ხრწილ ჯას მძლავრ და გოდიათ ადა. მაინის წინაშეკრომელიც ჩვენ-ჩვენად ფუსა ცხოველებს, თავისს თავმოკვრობას მსხვერპლად გვიტკერდა.

ადგომის წინა დღეში იყო, თუმცა გაზაფხულის წყნარი და სასიამოვნო დღის გათენები, მაკრამ ჩემი გული რაღაც წინასწარ უსიამოვნო გრძნობას შეეშინა და მაკრად შეეკუნკა. მთელი ბეკლობა რაღაცნაირად დამძიმებდა. დღის სახანდეგან გამოკრეკის დროს ძალი ჩამოკდე წყდი. რაღაც უხდება ხმა უცნაურად ჩემკოდეს ყურებში. ბედი ნაღვლით სავსე სასმალს მამზადებდა. სახიბეს კრებით ბატონი ადგა. მასი მრავალ ბრის სახის გამოქტეკულება ბორობებით იყო სავსე. დინჯად ადგა და ბაზვლის დროს სადღგომო ბატკნებს თავალიერებდა. სახიბედან სულ ოდომდის გამოგეყვანეს და ბატონის თუალის წინ გაგვატარა-გამოგატარეს. მე და ჩემი ბატკნი, ოთხთაღე კიდევ სხვა, ისევ სახიბეში შეგვაბრძანეს. სხვებ-კი ჭადეკში გასასვიდად გამზადებულ. გულმა რაღაცნაირად ტკმა დამაწყო. იმედები მეორეკედებოდენ: „ეკვე ღმერთმა გვიხსნას ადამიანთ გეშლიან ბორობებისაგან-მეთქი“. მეორე დღეს მინდორში გაგვიკვეკ, მაგრამ სადკვალ ვის ახსოდა, ჯკრით შეკრულ გბილების დინთ გარ გამახსენდათ. რამდენს თავს გადაკედებდი ჩემს თავს, სიფაშეკდათ ობლობაში გამოზრდილს შეიდს, თანაც სიზრაით გულთ შკვა-შკვით მესკრებოდა.

ადგომა მოახლოკებული იყო. კრაკად კიდოდა, რომ ადამიანს შეეძინა და გაეშადარი გული ჩემის სახსდით უნდა შესკრალიყო, ჩემებრ დამწკრ ძუძუებით ადრიდგე ბატკნებთ დაეშკენებინა სადღესასწაულო ტრაპეზზე და თავისის შეიდებით წკ. ადგომის მხიარულად შეხვედრილა. კრაკად გათენებული არც კი იქნებოდა, ჩვენს სახიბეს კრებს მზკრეული მოადგა. მასის კრომა შეხედვამ მეისე შემშინა, თავკებში სინათე დამებნელა, ბიჭებით გამოცებულ კრებს მე დაეკჯახე, სრულებით მოუსაზრებლად შეკდებულე, შეკეკედ და კრეში გასაყრდნად გეკეშრე... მაგრამ... შეიდი? ჩემს დეიდ შეიდს კიღის კუტრაებდი?!... მაგრამ უნეკ გამოეკედკე. შეკდე. კრთი ორიოდკერ კიდეკე მომხედა მზკრეულის ტკბანე ხელი. შეკბრუნდი, მაკრამ კხი იმ შებრუნებასა?! კხი იმ დღის მოგონებას ჩემთვის! შებრუნეს და ჩემი უმანკო ნუგეში მზკრეულის შეუბრალებელ, ღოდკენ ხელში ჩაკრდა. ხრწიკის სასწრაფოთ მოატეხა და სახიბეს კრეში მიხურა...

ჩემი მდგომარეობა აუწერელი იყო. დეიდეზედ ნაგება შეიდი, იმდღისში ბაღებად-გაწკრთნილი იმედი, დედის კრთად ნუგეში შეიდი მომატება და მე-კი ოთხს კედელს შუა სპეშრობიდენ შემიფრო... ოოხ! ღმერთო! სად ხრას შენი მხრთლ-მსჯავლებს?! სად ხრის სამრთლეც?! ნეტავ ვისთვის რა ხიანი მამიყენებია?!.. ასე უმკეტესად კიწოდი, კიდხედი, მეძუძს განთეზედ ანთებულს ალს მრიხდი კვე-

ქონდა, ერთი კეთილდღეს მეორეზედ გასკვლობდა, ტლორდა, თუ-ბერს კამტრეკედი, მაკრამ ჩემი ნუნუშის მომცემი ჩვენთ ჩვენებრ უმეტესედო ცი და ქვეკეთ შაი უგრძნობედი ცივი დედაშეს ღი ოფ. ბიდანს გვიქვანე, რე ძალი და დონე მქონდ კედელს მაკასკედ და სანიზედან უგრძნობედ გადმოვიზე... ეზოში, სას ერთ ტოტზედ, ბირქედე დკიდებული ჩემი შვილი მეტ თვალებში... უცებ მივარდნილმა მისი ბეტეებული გვამი მკერდზი მივიკარ და მოშორებას აღარ კიბირებდი... მაგრამ მზარეულს გარდ, დედკეცები მოკვარდნ და ძალის ჩემის შვილის გვეებულ გვამს ზეით ამოხდომაშე, შვილს მომშორეს და ასეკ სანიზეზი მიკრეს თავი.

უმეტესედმ მშობლური გრძნობები მხრტო ხმით ტირიდზი გამოვთქვი. გამეგონს ხმით ტირიდე გულსკე შეღვეთს ძძვესო. მაგრამ ამის ნუბიე ან მომცეს! დასვი ადამიანის გულის სიჩვეუნეს და გრძნობების ცხეკეებს?! ჰქე არ მომცეს თავის-უფლედ შვილის ტირიდის ნუბ! არ მიმიშვეს მშობლის შეუსდღეს ცრემლებით მომკდო და მომკვანს მისი ტკეკედები და ჭიქეკედი გულ-მკერდი. ჰქე ხელი მკვს და ძალმომრეობით ჩაუნდეს ჩემს გულ-ში ანოებედ ცივსდას ადი. ჰქე ცხადედ გამოჩინეს ადამიანმა თავისი გულ-ტკივ გრძნობა სხვის ტკეკედობისა და გაწყრეების მიმართ!... ჩემს დასაწყი სიტყვებს შვილის შემდეგ რადს მნიშვნელობას ეძენებდნ?! გადაწყვეტედ მეც თავი დამეკედ ჩემს უმანედ ჭიქედ შვილის გვამზედ. თავდაწეკებედი ასეკ მივარდი და შუაშიგდ სიხიდედს შეკხედკედ: „მეც მომკედით, სატლტ-დე მომისვეთ! შვილის ჭიშის შემდეგ დედის სიტლტსდე ჯოჯოხეთია... რას ვერჩით? რათ მიხრობთ მშობდეურ გრძნობებს? რატომ ვრ გვკრთ, რომ მეც შეკვარს ჩემი დვიძდი შვილი?! მეც, თქვენებრ მტანჯკეს შვილის სასჯდეთ?! თქვე უსამართდოებო, თქვენს?! ნუ თუ ამიტომ უარ-ყოფით ჩემში მშობდეურ გრძნობებს, რომ თქვენებრ ფდდე ენა-მეტყველ და ცხეერებით გაყდენთდე ქმნილებებდ ვრ გვჭენდებრთ?! სდდებით, სდდებით! იტდქეო, რომ მეც დედ ვიდ! მეც თქვენებრ გეწკი და ვიდეგეო... შვილის ჭიშეს მეც თქვენებრ მტანჯკეს... გულ-დკიდეს მიდრდნის... მეც დედ კარ, დედ!...

თეთო. ბუსკივაძე

აღდგომა საქართველოში

I

1083 წელს. *)

ვინ წარმოიქვა თვითოეულად, რაკ დღეთ ჩვენთა მოიწია ჭარი! ქვეყანასა ჩვენსა საშინელებანი ზეგარდმონი, ღვთივ მოელენილნი გვეკნი მოიწევნეს დღესა აღვსებისსა, თვით მას აღდგომასა მეუფისასა, რომელსა შინა სიხარული და განსვენება საგონებელ იყო, მიბრიდნა რისხვით უფალმან ქვეყანასა, და შეძრა ქვეყანა საფუძვლითურთ ესეოდენ სასტიკად, ვიდრემდის მთანი მაღალნი და კლდენი სასტიკნი მყარნი, სახედ მტვერისა, დაიგალნეს, ქალაქნი და სოფელნი დაირღვეს, ეკლესიანი დაქცეს, სახლნი დაინთქნეს და დაიხოცეს, და იქმნეს საფლავ მას შინა მკვიდრთა. თვით თმოკვეთა დაიკრა და დაიპყრა ქვეშე კაბაჯენი, ძე ნიანისი, ცოლითურთ. და განგრძელდა ესე ვითარი იგი რუეკა, ქვეყანასა საშინელი განსრულებადი, ვიდრე წელაწადამდის, რომელსა შინა მოსწყდა სიმრავლე ურიცხეი.

II

1983 წელს.

მოიწია *) ენებისა კვირიაკე და დიდს ხუთშაბათს მცირედ ქვეყანა შეიძრა და არავინ გულისხმა ჰყო, რათამცა წყალობად აღეძრათ ღმერთი მოწყალე და შეენდობელი. და ვითარ მოიწია პარასკეკი ენებისა უფლისა, კვალადცა შეიძრა ქვეყანა, დაცუდდა, და არღარა იქმნა. და ვითარცა მოიწია შაბათი და იქმნა სამ ჟამად დღე, და ხვალისა დღე ჯერ იყო სიხარული აღდგომისათვის უფლისა და ყოველნი მოეღოდეს სიხარულსა, ესოდენ რისხვით მოზედ ღმერთმან ქვეყანასა, სიმრავლისათვის უსამართლეობათა ჩვენთა, რომელ საფუძვლითურთ შეარყია ჴ შეინძრა ქვეყანა და ზეძირწუნეკა: დაიქცეს საყდრნი და მონასტერნი, ეკლესიანი, ციხენი, სახლნი, ნაშენებნი მოთხრდეს, მთანი და ბორცვნი მაღალნი დაზღეს და კლდენი სახედ მტვერისა დაიშალნეს, მიწა გაიპო და წყალი, მსგავსი კუპრისა, აღმოიგრა; ხენი მაღალნი დაქცაან და ირყეოდიან ძრახასა ქვეყანასასა. საყდარი აწყვეკისა დაიქცა: ყოველად ჭიდად აწყვერისა ღვთისმშობელი, ლტანნობით შესვენებული, საშუალ საყდრისა ესენეკ; გუმბათი ჩაშიგრა და, ვითარ ქედი კაცისა, ცრეეთ თავსა დაერქვა და დარბა უვნებელად. ეს რისხეა ზეგარდმო სამცხესა ოდენ მოიწია ვიდრე თვისა ერთისა ჟამადმდე, გარნა სხეა არა სადა ვენო. მცხეთას საყდარიც დაიქცა, სამცხეს ურიცხეი სული მოსწყდა და საყდარი, ეკკლესია და ციხე არსად დაშთა დაურეცველი, იქმნა გლოვა და ტირილი უზომო.

ეს ცნობები ამოვიღეთ მატიანითგან გვგონია, გამოადგება ახალ-ციხელ-აქის დღევანდელი მიწის ძვრის შემსწავლელთა.

მ. ჯანაშეკილი

ახალი ამბავი

— *** როგორც ოდესიდგან გვატყობინებენ, ამ წლის გასულს ოდესის უნივერსიტეტის ქიმიის პატივცემული პროფესორი ვასილი მოსეს ძე პეტრიაშვილი თავს ანებებს თურმე სამსახურს. ადგილობრივ ქართველობას განუზრახავს ამის გამო საყვარელის პროფესორის სახელობაზედ ოდესსავე უნივერსიტეტში სტიპენდია დააარსოს და ამ აზრით 455 ამბ. ოქკე შეუკრებია თვისს შორის. ამ კეთილ განზრახვას ოდესაში მცხოვრებ ქართველობისას, რაღა თქმა უნდა, ყველანი სიამოვნებით მიეკებებიან და ჩქარა შეიკრიბება ქართველთა შორის ამ მრავალ მოკირნახულე და მოამაგე მოღვაწის სახელის სახსოვარ-საყოფელად დასაარსებელი სასტიპენდიო თანხა. ჩვენი რედაქცია სიამოვნებით მიიღებს ამ სტიპენდიის სასარგებლოდ შემოწირულებას.

*** საერო განათლების მინისტრის ამხანაგი დ. ს. ს. ზეკრევი, როგორც ისმის, აპრილის გასულს კავკასიაში ჩამოვა.

*** მცხეთის ტაძრის შესაკეთებლად დანიშნულია ტფილისში ცნობილი ხუროთ-მოძღვარი კ. პ. ტატიშვილი. ტაძარს ჯერ სახურავს გამოუცვლიან და შემდეგ შეუდგებიან მისის კედლების შეკეთებას.

*** სასოფლო სამიწად-მოქმედო დეპარტამენტს განუზრახავს სამეურნეო სასწავლებლებში შემოღოს კურსები, რომ მცხოვრებლებს შეეძლოთ სასოფლო მეურნეობის შესწავლა. ამისთანა განსაკუთრებითი სასოფლო-სამეურნეო კურსები, სხვათა შორის, შემოღებული იქნება ქ. ქუთაისის მაზრის სოფლებში.

*** ხუთშაბათს, 6 აპრილს, საღამოს 10 საათზედ ტფილისში ჩამოვიდა „კავკასი“-ს ნარედაქტორალი ბონი ვ. ლ. ველიჩკო.

*** აღდგომის შემდეგ ტფილისში ჩამოვა რვა წლის ნიკერი მემუსიკე მიიშა ხუცისშვილი, რომელიც აქ სამუსიკო საღამოს გაამართავს.

*** გაზ. „Кав. Сел. Хоз.“ იუწყება, რომ მომავალ კვირაში ტფილისში ჩამოვა პროფესორი, ვ. ვ. დოკუჩაევი. პროფესორი, სხვათა შორის, წაიკითხავს ჩვენს ქალაქში რამდენსამე ლექციას მიწის ნიადაგის შესახებ.

*** ქუთაისის სხლო-მახლო სოფლებში მკობსტერობის წყლს ერთი ორად უმატნია. ამ ჟამად დიდი მოთხოვნილებაა საბოსტნო თესლეულობაზე.

*** სოფ. ჩაქვა. წყობილს წყლს აქ კოსა ჩაი 55 დესეტინის საკრედიტო წყდ. წყდს ჩაის შდსტატებმა ერთიორად იმატა. ამ გაზაუნულზედ 202 დესეტინა ჩაი იქნება დათესილი.

*** სოფ. სნო (დუშეთის მაზრა). ამ დღეებში სნოს სასკოლო შენობა დათვალიერა მართდმადდებელ ქრისტიანობის ეპისკოპოსმა ბ-ნმა კვ. ბეს. მამინაც შეიტყო, რომ სასწავლებლის მასწავლებელმა ბ-ნმა კვ. შენობის გაკეთებაში ხელი შეუწყო და საკლასო ოთახის ნაცვლად ორი ოთახი გაუკეთა.